

იუმორისგ. უჟურნალი



აშუაპაპის აპათოტაქი



№ 36



„მარქსიზმი“ და გრ. რობაქიძე.

გ. რობაქიძე. იმე, რაფა ლაპარაკობთ, ბატონებო! ერთს უსუუბერავ და ამ ლილიპუტურის კვალსაც ვეღარ ნახავთ!!

ჩვენისთანა ბედნიერი...

„ჩვენისთანა ბედნიერი
განა არის სადმე ერი?“

საზღვარ-გარეთ თუ ვადადი,
მოიპარსე უღვაშ-წვერი,
ათი წიგნი გადაღებე
ნემეცურათ დანაწერი,
სამშობლოში დაბრუნებულს
დაგერქმევა მეცნიერი.

„ჩვენისთანა ბედნიერი
განა არის სადმე ერი?“

თუ მსოფლიო პრობლემებში
გამვერი და გამოძვერი,
რასაც აზრით ვეღარ მიწვიდი
ღმერთს მიანდვე ყველაფერი,
კურთხეული მამულისთვის
ხარ „ფილოსოფ-მეცნიერი“.

„და ჩვენგვარი ბედნიერი
განა არი სადმე ერი?“

რომ სამშობლოს მექანქრენი
გყავდეს მუდამ მადლიერი,
მარქსი უნდა „დაამსხვრიო“
თითონ დაჯდე მაგიერი
არ მოგაკლონ „სულის წყარო“
და აღერსი სახიერი,

„ჩვენისთანა ბედნიერი
განა არის სადმე ერი?“

ეშმაკი.

სამზოგლო.

„საც დამილამდეს იქ გამითენდეს,
მუნ იყოს მიწა ჩემი სამშოლო,
მხოლოდ ვარსკვლავთა, თანამაველთა
ვამცნო გულისა მე საიდუმლო!“

6. ბარათაშვილი.

ნუ ნუ მკევედრით სამშობლოს დაღატს
ნუ მარქმევთ დამრდევს მისდმი ვალის,
გრძნობას მიწაშლავს ეგ თქვენი მსჯავრი
ქვეყნიერ შვებით მტკბარის და მთვრალის!

აჰ, ეს გული და წაიკითხეთ
ჩემი წასრული ამის ფინარზე,
თუ ჰხრებთ მასში ერთ სიამის წუთს
დე მიმითითეთ ამ საფიცარზე!

მაგრამ ამაოდ! აქ მხოლოდ ერთი
ტანჯვა-წვალება შევობენ მარად,
და დღეს არსებულს აბა რას უთხრა:
თავს შემოგველო მიმიჩნას არად?!!

მე აქ ვშობილვარ - ამ საქართველოს
მშვენიერებით სავსე ტურეთათ მორთულსა,
რა დაქმადლო? თვის სიღამაზით
კანა მიმთელებს დასერილ გულსა?!!

მთანი მალაღნი, ამაოდ მდგარნი
ჩემს მწარე ფიქრებს გულს მოზღვავებულს,
ფარდათ ხმარობენ, გრძნობით ვერ ვხედავ
იმათსა სხეს, ისე დიდებულს!

სამო უფავილთ სურნელებანი
ღრმა კეშანში სადღაც ჰქრებიან,
მდელოს ბიბინი, ცვარის ციმციმი,
მშვიდობის სხივით სულს არ სწვდებიან!

წყაროს ჩხრიალი, ბუღბუღის სტვენა,
და მდინარეთა დუღუნ სრიალი,
არ მატუევებენ, ჩემთვის უცნოა,
ტბილ ფრთოლის მგვრელი იმათი ძალი!

ჩემი საფარი აქ მხოლოდ ცაა,
ქუანში სვლისაც არა მატებს ნება,
და რათ არ მეტუევი სულ ამოუწვდელს
ეს უფლებები სად არ მექნება?!!

არ მაგონდება, მე არ მიცნია
ძმა, მეგობრების ალერსი ტბილი,
სალხენ-სამო არაფერი გვაქვს,
რომ შიგ ურთი ერთს დაულოთ წილი!

ხვედრის სიმწარემ ჩვენ შეგვავრთა
მან შეკრა ჩვენი ძმობის კავშირი,
სად გსურთ მისროლეთ ასეთ მეგობრებს
უგელგან კი ვზოებ, იქნება ხშირი!

დადარულ შუბლით, უხშოთ, უსიტვეთ,
გამოიწნობა ჩვენი ერთობა,
დამტკნარ სხეულად აღბეჭდილია
ვის ხარჯზედ არის იქ, ის გართობა!

თუცთ აზრდებლები ჩემს გვერდზე მკედრების,
მათ საფლავთაგან გარდახვეწილს შორს,
ჩამხურჩელებენ: აქაც ბევრს ჰხობენ
ბრძოლის ველზე დაღუბულს ჩვენ სწორს!“

დაიხ! ეს ხვედრი უგელგან წამეგება,
მარტო აქ არ ვარ განსხვავებული,

მისთვის სამშობლოს არ უძახი: „ძირს!“
მაგრამ არც მას ერთს ეკუთნის გული!

სამშობლო თქვენი განსხვავების
ღხენით დამტკბართა ტბილ სარეკელი,
ბედნიერება მისი რაც ნიშნავს
მოტკერილი აქვს მას თქვენი ხელი!

თქვენი მალაღ მთის მწვერვალთაგან
ამაოდ მხერა მინდორ ველის ძირს,
თქვენი ტუის ჩრდილში განცხრომა
ტალღის ალერსი იქვე, წელისა შირს!

თქვენი თვალი სწორ უბოვარნი
ნაც არსებათა მედიდურება,
თქვენი მთელს სამშობლო ესე
და ჩემი წილი თავისუფლება!

მე შემოგუერებთ განცხრომის ტანტსე
თქვენგან გატედილ ბორკილ დებული,
და კბილთა ღრტყენით მის დაგლეჯის მდამს
მსურს ძირს ვიხილოთ ჩამოკლებული!

ეს არის ჩემი ერთი მიწანი,
გატაცებული ვარ მხოლოდ ამით,
აზრი და გრძნობა, ხედავ და სმენა
ამ ფიქრს არ სტოვებს არც ერთი წამით!

დაიხ! მწუერია: თქვენს ნამუფოფ ადგილს
ავაფრიალო დროშა ბრძოლისა,
და გწამლავთ განა იმ სიშორიდან
წინ, წინ რომ მიწვევს მე ხმა ტოლისა?!!

ის ხმა ჩემი ერთი იმედი,
მომავლისაკენ გზა და ხიდა,
ის ხმა ისიც თქვენ რომ კითხულობთ:
„ძირს! ძირს! სამშობლო ზურგს ნუ გკიდა!“

მაგრამ ეს განა დაღატია არის
და სამარცხვინო შემეფერს სახელი?
ან თქვენი გმობა მას მოასწავებს
სამშობლოს ნერვით ამელის ხელი?

ვაცლას განიცხვას თქვენსა უწყალოს,
ვაცლას არ კაცურს მაგ სამართალსა,
მე კი ვიბრძოლებ, ბრძოლა კვლავ ბრძოლა
და გაუმარჯავს ჩვენში მართალსა!..

რ. ლეჩხუმელი.

გლენის მდგომარეობა.

რეაქცია რომ გამეფდა,
და დრო დაღვა ერთობ ძვირი,
გლენის თავზე დატრიალდა
ათას გვარი გასაქირი.

თან ყოვლის მხრით მას მოაწყდენ
საკლებათ და საორგულოთ,
ვით ესევა წაქცეულ ხეს
ყველა ცულით და უცულოთ.

პოლიციელ-მოსამართლე,
მღვდელი ქრისტეს მაგიერი,
მებატონე, მემალულე,
თუ ვაქარი გულტბიერი.

ყველა ამას აუშხებდრა,
ვით სჩვევია დაბალ ლობეს

და ყველა გზა სინათლისკენ
გაღუქრეს და გაღულობეს.

ასე ალყა შემორტყმულსა
პირმოთნულის მზრუნველობით,
თვისი რჩევა დარგებაც
წინ დაუდგეს მთელი გობით!

ჩინოსანი ყრილობებზე
ერთობაზე მიუთითებს,
აღნუსხავს რა იმ დროინდელ
გულშემზარავ მაგალითებს,

ეუბნება: „დაწყნარდიო,
ჩემი რჩევა გაიგონე!
შეითვისე ჩემი მრწამსი,
მემსახურე და მემონე!

ხომ ხედავ, რომ ეხლა ჩემში
ძალა და სიმაგრეაო?!
აბა, რის თავისუფლება?
ის ჯერ შენთვის ადრეაო!“

კრუ-სიმაართლის ქურუმს მისთვის
ხელთ უბყრია განაჩენი:

ეს-ციხეში! ის-სიკვდილში!
ცივ ქვეყნისკენ-დანარჩენი!

ქრისტეს მცნების მოციქული
თვისთა ბავთ მის წინ არხევეს
და ზნეობის დიად საკითხს
თვითონ სვამს და თვითვე არკვევს.

სჩივის: „ხალხი სულ გაირყვნა:
არც ზნეობა! აღარც სჯული!
არც თავფეხი, არც საკურთხი,
შემწვარი ან მოხარშული

არც ქელები ძველებური,
საეტლო ან საწირავი,
ცხვარს და კუროს ვი-ლა სჩივის?
არც თიჯანი და არც კრავი!

ღმერთს ვმადლობ, რომ სამღვდელთა-წესო
ჯერ სულ კიდევ არ გამქრალა!
დრამის ფულიც პოლიციამ
ამ წლის ჩამომიჩხრიალა.

თორემ შენი მტერი იყო!
საქმე მქირდა მეტად ძნელი:
რითი უნდა შემენახა
ან ცოლშვილი, ან მუცელი?

სულიერი მამის რჩენა,
გლებო, ღმერთმა ვალად გარგო!
შენც ასრულე ის პირ ნათლად
რომ სამოთხე არ დაჰკარგო!

ჩემი რჩევა შეილო ჩემო,
რა იქნება უკეთესი!!
მღვდელს მიაართვი ყველაფერი,
რასაც ითხოვს სჯულის წესი!“

მებატონის გულის ძგერა
არის ღალა და მამული
და სცდილობს რომ გლებს აუხსნას
რალაც კითხვა-აგარარული.

ვაქარიც კი საქონლისა
სიფარშივეს და სიძვირეს

ახსნის იმით, რომ მუშებმა
„ზაბასტოვებს“ მოუხშირეს!

ასე თავის სიერაგულეს
თვითიული გლებს უმტკიცებს
და, რომ სრულად დაარწმუნოს,
ღმერთს და სინდისს დაუფიცებს.

მაგრამ მუდამ „ქირს შიგან მყოფს“
გლებს გამოცდილება მწარე
უმტკიცებს და აგებინებს
ვინ მტერია ვინ მოყვარე.

მოვა დრო და მართალ გზასაც
უჩვენებს მას ეგ შეგნება
და მწამს, ბედს არ დაუმაღლებს,
ვინც დღეს მისი ტანჯვით სტკბება!

მანამდის კიდე ილხინონ!
დე იტანჯოთ შრომის შვილი!
იქით ღებენა აქეთ ტანჯვა
არს ცხოვრების გაკვეთილი!..

ნ. ზომლეთელი,

ნელიმ სთქვა.

კრებასა ერთსა დავესწარ
საქანქრო საქმე წყდებოდა;
მუნ იყენენ ბურჯნი ბათუმის,
ბჭობდნენ რაც გაეწყობოდა.

ფული არ ჰქონდათ სკოლისთვის,
(ქართული საქმე ხდებოდა);
მასწავლებელნი ამ სკოლის,
თურმე შიმშილით კვდებოდა.

ბოლოს მიავნეს სახსარი,
ჩვეულებრივი, ნაცადი:
სესხი აღდეს ბანკიდან
თუმანი ერთი ასამდი.

ამ დროს წამოდგა კნენა
დადიანისა ასული,
აღაღო ბაგე სათქმელათ,
კრებამ გააბა მსწრაფლ სული:

„კი ბატონებო, ვისესხოთ
მარა ვს მიაქვს ეს ფული?
ჩვენმა ბავშვებმა საკმაოდ
არა იციან რუსული.

და თუ არ გჯერათ ბატონო,
კომიტეტისა წევრებო,
ესე ამბავი „ნელიმ სთქვა“
ნუ თუ არ დავიჯერებო!..

ეს სთქვა და ისევე დაბრძანდა,
(უყვარდეს სხვისი მოსმენაც)
ისეთი საქმე წაჰკიდეს,
ახლაც კი იკვნეტს ის ენას.

მრავალ მხრით დაუსაბუთეს,
სცდებოდა ესე ასული,
ბოდიშს იბდიდა მაღი-მალ,
კნენა წრეს-გადასული.

უკანა აზრით ნათქვამი
არ გამოადგა „რეჩია“
რა გაეწყობა „ნელიმ სთქვა“
მაგრამ არ ეთქვა, ერჩია.

უკულმართი.



მესტვირული.

ეშმაკო, ერთხელ მათხოვე
შენი ქამანჩა სტვირია,
მუდამ ბლიკვაძეს, ბლიკვაძეს,
განა სხვას არა სჭირია?!

მსურს ერთი ავახმატბილო
კობტათ შეუწყო ხელია,
ლილინ-ლილინით შევაქო
ვინც კი მყავს საქებელია.

ჩაუვლი ყოფილ ჯურუყვიეს
დღეს კი ჩოლოქით ქცეულსა,
კარისკარ მოღინახულენ
შავ რაზმელებსა ქებულსა.

პირველათ ვნახავ დიმიტრას
(ორგანოს მესვეურია),

ოხრათ გავლემოთ კუდინით
თუმცა მას სისხლი სწყურია.
არავის დაეკარგება

„კეთილი“ ნამსახურია,
მიხელ რაინდსაც მივმართავ
(ვინაც აიკლო გურია.)

რას ემზადება ნეტავი
სად სურს იძიოს შურია,

ბერ გაბრიელსაც ვურჩიით
რატომ არ შეისვენებსა,
ნულარ უსისებს ქვეყანას
თავისს მეკანქე ლეკვებსა,
თორემ დრო მოვა, მათრახ ქვეშ
ლეკურსაც დაიკეცვებსა.

შემდეგ ვესტუმროთ სირიას
შევაქოთ გუდა სტვირითა,

რაც სისაძაგლე გულში აქვს
ვატქმიოთ თავის პირითა.

მოგვიყვეს შავი გმირები
რა მიზნით ირაზმებიან
რა მოელანდა საწყობებსა
ტყვილათ რო შიშით კვდებიან.
ვკითხოთ „რაინდნი“ ჭყონიებს
რატომ არ ეკითხებიან
(ეს ზათ ხო აღრე დაიწყეს
ოჟმც დღეს სირცხვილით კვდები ნ.)
ვითარმედ ცივსა ნაცარში
კვერნი არ გამოცხვებიან.

ბოლოს კი დავსცხოთ მათრახი
ამ ბერ მგელს ჩვენებურათა
წასვლაზე უნდა უფროხილდეთ
არ გვიყოს მისებურათა...

თუ დათიკოსაც მოვხვდებით
მგონი არ იქნეს მეტია
ჯერ ტკბილის ენით შევკითხოთ
რა უნდა ვერ დავტია?
რას ეჩხირება შავრაზმში
ეს საცოდავი რეტია!!
თუ ენა ტკბილმა არ გასქრას
ვშინჯოთ მათრახი წკვერტია.

ყიამეთი.

ბიბლიოკრაფია.

„ქეთო“, ესკიზი (ფაბრიკის ცხოვრებიდან, 3-ე ხი-
ლისთაველისა „ალიონი“ № 1 *)

დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც 3-ე ხი-
ლისთაველმა ჩვენი მწერლობის „ჭორაზონტიკე“ ამოაშუ-
ქა. იმან წვერი ჰქნა „რიურაჟსე“ და „ალიონსე“ საბო-
ლოთ ნათელ სვეტათ ამოკუდა.

ამ მწერლის სტილის სიდავდე, სიდავდე მისი მს-
ტერული ნიჭისა, ახუ იმ სიტყვით რომ ვსთქვათ, რა
სიტყვის ხმარებაც თავის მსაღვრულ ნაწარმოებში მეტის
მეტად უყვარს 3-ე ხილისთაველს, — „ჭორაზონტი“ მი-
სი ნიჭისა დიად და მიუწდომელ-არს.

აზრები დრმა და ფართო მიუწდომელი, ვითარცა
თვით „ჭორაზონტი“, ცხოვრების დაგვირგება ფართო,
ვით გაუღვარებული „ჭორაზონტი“, ახალ-ახალ სურათე-
ბის... (ამის შემდეგ თითქმის მთელი თაბანი, წვრილი
ხელით დაწერილი ვერ გავაჩიეთ. რედ.)

...ეურადდება არ მიუქცევიათ ცხოველთა მდგომ-
რებისათვის. 3-ე ხილისთაველი ამ ნაკლს ჩვენი მსაღ-
ვრული მწერლობისა სწორებს. მისი ნიჭი უურადლებს
აქცევს როგორც ადამიანთა ურთიერთ-შორის სოციალურ
ძალთა განწყობილებას, ისე ადამიანთა და ცხოველთა
შორის ატეხილ ჩუმს, მარა მზავალმნიშვნელთაგან ბრძო-
ლას. ეგვლასკან მოძულეებულს, სცოდავ არსებას, ვირს,
ჯერ არავინ გამოქმამაგებია ჩვენს მწერლობაში.

*) სამწუხაროთ ბიბლიოგრაფს ისე დაუწერია ეს ბიბ-
ლიოგრაფია, რომ ბევრი ადგილზე ვერ გავარჩიეთ. ვბეჭ-
დავთ მხოლოდ იმას, რის გარჩევაც შეეძლია. რედ.

... შეუდარებელია ამ მოთხრობაში აღწერა სცოდნად სახედარის, ახე ვირის სოციალურ მდგომარეობისა. ამ ზატიოსან ცხოველის ახეხათ აგდება, მის მიერ გოდრების თრევა, ადამიანის მიერ დამონაგება ამ დიდ-ეურა არსებისა, რომელსაც არ შეუძლია არც გაფიცვა, არც სხვა რამ სხნით ზოტრესტის გამოცხადება, — სსინელე-ბაა, სსინელეება!.. აი ასეთი უხუგეშო ვითარება ვირისა; მისი სოციალური მდგომარეობა, გაჭირების დროს მისი სულის ვეეთება, მშვენივრათ, სხარტულათ აქვს დასუნათებუელი მოთხრობაში ქეთო“ ბელეტრისტ ჰ—ე სი-დისთაველს. ამნირათ შეგნება ვირის მსიხლოდოგის „ჭო-რიზონტისა“ ჯერ არც ერთ ჩვენი მწერლის კაღამს არ დარსებია. ცხადია ავტორი თითონ გრძობდა იმ ტანჯვა-ვაებას, რომელიც ბელმა არგუნა ვირთა ჯიშს და ვირის ფსიხოდოგიური ჭოროზნტით გაჯდენითილი, ასე მსკერ-მეტევეულურათ აგვიწერს დაჩაგრულ ცხოველთა გულის ხა-დებს:

„...ერთს სახედარს მიუახლოვდა პატარა ბიჭი, გაცვეთილ ქალ-მნებაში, ნამძინარევი თვალებით დაგლჯილი ლურჯი პერანგით, რომელსაც დაუბანელ თავზე კახური ქული უხნოთ წამოევლო გვერდზე, და სწორება დაუწყო საპალნეს, რომლის ცალი გოდორი ძლიერ გადარჩილიყო ერთი მხრით და დავარდნას ლამობდა.

ერთმა ახალგაზრდა სახედარმა იღროვა, მიადლო მის გვერდით მდგომ სახედარს თავი თავზე და წყენით უთხრა.

— მეგობარო, რა შეუბრალებელი-ძუნწი უღვთოა ადამიანი!.. როგორ გვექცევა!?

ბებერმა სახედარმა ნაღელიანთ გაიღიმა, ყურები გა-აპარტყუნა, პირი დააღო, ის, ის იყო უნდა ეთქვა რაღაც, რომ ახალგაზრდა სახედარის ზურგზე მათარხმა ტყლაშანი მო-აღინა, და ჰაერში გაისმა პატარა ბიჭის ხმა.

— ჰო, ჩოჩ!.. ჩოჩ!.. შე ვერანა!

საწყალი სახედარი დაილაქნა წელში. მიათრ მოათრია უკანა ფეხები, ყურები გაიბრტყა, თვალები ფართოთ და-აღო, ორი მწუხარების ცრემლი მოსწყდა მის თვალებიდან და მის მოგრო სახეზე ნაკადულივით აგორდა.“

აქ აღსანიშნავია ის დრმა ზატივის ცემა, რა ზატი-ვის ცემიცათ ეპურება ახალგაზრდა ბელეტრისტის ზოე-ტური ჩვილი გუელი სცოდნად სახედარს. მხატვარი ზატი-სცემ სახელს უწოდებს გმირ ვირს, ის მას „ვირს“ კი არ უწოდებს, როგორც ზოგიერთი უხრდელი მწერლები, არამედ „სახედარს“...

საწყალი სახედარი!.. მისი ცოდვა მიეცა იმ ზატი-რას ბიჭს, რომლის მოქმედებამაც ასე აატირა ვირი, უკა-ცრავათ... სახედარი, რომელმაც მოსწყეიტა მის თვალებს ორი ობოლი ცრემლი და მის მოგრო სახეზე მწუხარების ნაკადულათ ააგორა!! ოჰ ბოროტო და უხუგეშო-ლო ბავშვო!

სავიწველია, ჩვენი მთავრობა და გასაკუთრებით ქუჩის პოლიცია რათ არ აქცევს საზოგადოთ ზირუტევეთა და კერძოთ სახედარის სოციალურ მდგომარეობას ჯერო-ვან უურადლებას!.. ავიდოთ თუნდ ცხენების მდგომარეობა. ამ სცოდნად ცხოველებს უნდათ თუ არ უნდათ შეაბამენ დროგებში, ან ეტლებში და აჩქიჩიქებენ მთელი დღეო-ბით, თვეობით, წლებით... როცა მათ ეტლებში, ან დროგებში გაუბმენ, რათ არ დაეკითხებიან—სურთ მათ თუ არა ეს, იქნებ მათ იმ დროს ძიელი უნდათ*!..

*) ამბობენ ზოგიერთ ქვეყნებში ადამიანებსაც ამუშავე-ბენ ძალდატანებით. ეშმაკი.

დრო კი, იყო, თქვენმა მხემ ზირუტევეთა ასეთ უხუგეშო მდგომარეობისთვის ვინმე მხატვარს უურად-ლება მიექცია. და აი ეს უურადლება არ დაიშურა ახალ-გაზრდა მწერალმა. დიდი მადლობა მას ამისა გამო.

სცოდნად სახედარი!.. მისი ორი ობოლი ცრემლი*). . შემდეგ ვეღარ გაფარჩიეთ. ვერც ის გაფარჩიეთ, თუ ვინ აწერს ამ ბიბლიოგრაფიას სელს. ვფიქრობთ რომ უნდა იყოს

კენტი.

მოლაღალატის.

(გუძღვნი მ—ს)

კაცი ფილიდი, არ გამტანი მითხარით რის მაქანაა? სხნის ფანდურზე მოცეკვვე ხომ უსულო მანქანაა?!

არკი ფიქრობს, უგუნური თუ რას სხადის ამგვარ ქცევით, და რასაც კი უბრძანებენ ისმენს ყველას, თავის ქნევით.

თავ დაღუნულ, ქედ-მოხრილი ელის, რაღაც დანაპირისა: პატივს, სახელს, წარჩინებას, მისთვის უთხრის მოძმეს ძირსა.

ვინც რომ მუღამ მასთან იღწვის და სიმწარით გააქვს ლელო, მას ღალატობს, უაირცხვილოთ ვინც რომ ოფლით მორწყოა მდელთ.

მ-გრამ მწამს არ შეარჩენენ ხალხში შურსა დანათესსა, გაჰკიცხვენ იმთ საფლავს, მსჯავრს დაადებენ შესაფერსა.

მიტომც ველი, გულს იმედით გაბრწყინდება მზე დიადი, მოსპობს ქვეყნათ შურს და ღალატს, მომავალი, განთიადი.

„ზარბაზანი“



*) როგორც სხანს თვით ბიბლიოგრაფიც მეტათ გაუ-ტაცია სახედარების ამბავს. გვიკვირს რატომ ვერ შეამჩნია მან ქეთოს „ორი ობოლი ცრემლი“, რომელიც მას მოსწყდა თვა-ლებიდან და მის პატარა ბავშვს დაეცა მოპარსულ თავზე, გესმით? მოპარსულ თავზე, ხუმრობა საქმე ხომ არ არის?!.. რედ.

მ ა ხ ს ე ნ ე ბ ა . ქუთაისის რევიზიისა.

(გაგრძელება)

ურემი რომ გადაბრუნდება გზა შემდეგ გამოაჩნდება. აი ამ ანდაზისებური საქმე დაეძვრათ აქაურ უბრავეს მოხელეებს. ჩვენი დანიტ გამოვიქვით ყელი—დიქტატორი ჩვენი წყალობით წამოვიკვებეთ თავზე. თითომ სამი სამი კენჭი მაინც ვუშოვნეთ იაკობს, როდესაც ის „ჩლონობაზე“ ყუთს იღვამდა, და მართლაც. სხვა ფრივ მოქცევა არც შეგვეძლო, იმ რიგათ გამოვიყურეთ ყურები მისი ქებით მისმა ერთგულმა ავენტმა ვარლამ ფანცხავამ (უბრავეში მსახურობს). ვის მოველოდით და ვინ მოგვივიდაო, აი როგორ კილოზე მღერიათ დღეს უბრავესტები. მაგრამ ეხლა გვიანაა. კი ხანია მას აქვთ, დუმამ დაადგინა თავიანთ მოხელეებისათვის ერთდროული საჩუქარი მიეცა და ამ საგნისა კიდევ გაილა თანხა. დღეს გუბერნატორმა ეგ გადაწყვეტილება უარყო. „ბოროტი ენები“ საჩუქრების ამგვარ უბედურობას ვარლამის წაიშას აბრალებენ.

ახლო წარსულში ახალი მოხელის მიღება ეკითხებოდა მოხელეთა კრებულს. დღეს ამ უფლებითა, სხვა ბევრ უფლებებთან ერთად მხოლოდ იაკოფია აღქურვილი. უფლებების გამოყენება კი ქუთათურ „ფარულთა“ მებარილტრემ მოხერხებულათ იცის. აი მაგალითებიც. ბუხვალტრის ალაგი მეგობარს მისცა. ერთი გასაუქმებელი ალაგი ხელ-ახლა აღადგინა და გერმანიის მეცნიერებით აღქურვილი მეგობარი წამოასკუბა ზედ. აქ არსებობდა ქუჩების ერთი მეთვალყურის ალაგი. იმდენათ უსაქმოთ დაბძანდებოდა ეგ ერთი მეთვალყურეც, რომ ლაპარაკი ყოფილა ამ ალაგის გუქმებაზე. დღეს ფანცხავამ კეთილ ინება და უსაქმო მეთვალყურეს კიდევ მიუმატა ერთი მომხმარებელი—ბიქია გიორგობიანი (ვარლამ ფანცხავას სიმამრი). არა, ღვთის წინაშე, რაც ვარლამი უბრავეს დიქტატორს სამსახურს უწევს, ასეთი პატარა დავალება იაკობიდან გასაკვირი კი არ არის. „ხელი ხელს ბანს და ორივე პირსაო“, ტყუილათ კი არაა ნათქვამი.

კადვე უზნავაზე. ვიცი შენი გულადობის ამბავი, ეშმაკო, მაგრამ საღამო ეამს რომ მოვიხდეს ჩვენი ბულვარის ახლოს ვავლა შიშით გული გაგოსკდება: ისეთი ამბავია, გეგონება მართლი კავკასიის ექსპროპრიატორები აქ მოკრებილანო. ორათ-ორი ფეხიანი სკამია მთელ ბულვარში და აი სწორეთ ეს სკამებია მიზეზი ამგვარი წყევა გლეჯისა. ბულვარის ერთ კუნძულში კი მთელი გორაკია შემდგარი დამტვრეული სკამებიდან. ბევრი, მგონი, არაფერი დააკლდება უბრავეს, რომ კეთილ ინებოს და ერთი ოცი მანათი გადადოს ამ დამტვრეული სკამების შესაკეთებლათ და მით მოუღოს ბოლო დაუსრულებელ ჩხუბსა და აყალ-მყალს. მაგრამ მეცა ვარ რაღა! როდის იყო უბრავე მცხოვრებლებზე ფიქრობდა, დღეს რომ იფიქრონ. ნაძირალებზე ახალ მოდის შანტაჟი შემოიღეს. ბრაუნინგებით თავდა-

სხმა ყველამ იცის დღეს ისე ადვილი აღარ არის, როგორც წინათ იყო. დღეს ერთი დამუქრებით მათ ფულს არავინ აძლევს. უგრძნით ეს ბ-ნთ შანტაჟისტებს და ხალხის ყვლეფის ტაქტიკაც შეუცვლიათ. უშონით სადღაც ყალბი ფულები და საწყალ სოფლის ხალხზე ასალებენ. დროც კი გამოუნახავთ. დღეს იმერეთში პარკობაა. ყოველ კუთხიდან აწყდებიან ქალაქებსა და დაბებს გლეხები. ისედაც ყოველი მხრით შევიწროვებულ ხალხს, ეს ვაჟბატონები კიდევ მეტ შევიწროების მიყენებას უპირებდნენ. მაგრამ უმუხდლა ბედმა. პოლიციამ მათ კვალს მიაგნო და ამას წინათ რამოდენიმე მათგანი დააპატიმრა. როგორც ვაგს, მათ გვარიანი მქიდრო და ფართო ორგანიზაცია ქონიათ. ამ კვირაშივე სამტრედიაში დაუბატიმრებიათ ერთი უცნობი, რომელსაც 60,000 მ. ყალბი ფული აღმოჩენია. მალაც არ ქონიათ ცუდი, ღვთის წინაშე.

რუსთა გავშანის წევრი ქუთაისში. ყველაფერს მოესწრება ცოცხალი კაცი, ქუთათლებიც ესწრებიან რუსთა კავშირის წევრის ხილვას. აქამდე თუ მხოლოდ გაგონებით იცოდნენ ცოტა რამ ქეშმარიტ რუსებზე. დღეს საშუალება მიეცათ თავიანთ თვალით იხილონ ცოცხალი არსება შავრაზმელებთა ჯოგოდან. ამ ბედნიერებას ჩვენ აქაურ ფრანგთა პატერმა გადაგვიცა. თვითონაც ქეშმარიტ რუსებზე არა ნაკლებ ქეშმარიტა გვამა ვაქარ ფეიქაროვს ჯერ ნოქრები დაათხოვია და შექდეგ აღესიდან მათ ნაცვლათ ქეშმარიტი რუსები გამოაწერია. ჯერ მხოლოდ ერთი ეკზემპლიარი მოუვიდათ. მოელიან სხვებსაც. სხვა ფრანგი ვაქრები თავიანთი პატრის ქეშმარიტი ქადაგებით გატაცებულნი, იმედია არ დააგვიანებენ და ფეიქაროვის მაგალითს მიბაძვენ.

ქეიფი. ვინ არ იცის, რომ ქუთაისი დღეს დიდ კრიზისს განიცდის. უფულობაზე ტირის დღეს აქ დიდიც და პატარაც, ვაქარიცა და ნოქარიც, მოხელეც და შავირდიც. მაგრამ არღნის ტრიალი და დუღუკის წუწუნი მაინც მუდამ გესმის. ქეიფობენ დღე, ქეიფობენ ღამეც, „საქართველო ჩვენია“ ს ღრიალი გესმის ბულვარის გარშემოც, გესმის ფერმისკენაც. ხშირი მოვლენაა აქ შუა დღეზე ასეთი სურათი: ეტლი გაღვილი ყაწვილებით აღსავსე შუა ბაზრიდან მიექანება ფერმისკენ; კოზლაზე ზის ან ლამაზათ გამოწყობილი ჩოხოსანი, ან პანამის ქუდოსან უღვაშებ გადაწყვიტული ყმაწვილი, ან ლურჯ ქუდიანი მოზარდი თაობიდან და მიერეკება ცხენებს. ცრუ მორწმუნეებს ვერ დაარწმუნებ აქ, თუ მოქეიფებს ღმერთი სიხმარში არ აძლევს ოქროს. და მარათლაც, მუშაობა არსადაა (ქეც რომ იყოს ბევრი მოქეიფეთავანი თავს მაინცა და მაინც დიდათ არ შეიწუხებს) საქეიფო ქანქარს კი შოულობენ. Не сЪютъ, не жнутъ-ო, რომ იტყვიან, სწორეთ მაგათზეა ნათქვამი.

რევიზორი ეშმაკი.

ბათუმის საშხევაი.

— ბათუმის საბჭოს დაეკარვა სხვა ხმოსნებთა შორის ხმოსანი გრ. სოლორაშვილიც. ეს ვაჟი საბ.

ქოს კრებებს ხშირათ აკლდება. 16 ივნისს საბჭოს სხდომაზე განსახილველათ იყო საყურადღებო კითხვა „ოცენოჩნი სპორის“ შესახებ. ბ-ნი გრიგოლი კი არსად ჩნდა. ნეტუე სად დაიკარგა? ამბობენ, ყოროლის თავში განისვენებს დიდი შრომისაგან დაღლილ-დაქანცული, გულს ატანს თევზების ქერას და სოფლის ბუნების ცქერასო. ეს, რა თქმა უნდა; ძლიერ კარგია, მარა თუ სათევზავთო სცალია, არა უშავდა რა საბჭოს სხდომაზე მისასვლელათაც მიეცალა. კარგი იქნება, რომ მას ერთ მათრახის კუდს წაპკრავდეთ უღვაშებზე. კარგი იქნება აგრეთვე; რადგან თევზების ქერა ასე უყვარს, ერთ გამხმარ ტარანსაც გამოუგზავნიდეთ გულზე დასაკლათ.

— ხმოსან მავროპულოს კი ველარაფერი გამოაბრუნებს, ვერც მათრახის კული და ვერც მილიონი საწყავი კულინი. მან 16 ივნისს დიდბუღალდ შესძახა საბჭოს კრებაზე *Ласни Мднвани всѣхъ насъ хочитъ сдѣлать пролетариатомъ, хочитъ прибавитъ оценочны сборъ и насъ домовладѣльцевъ разоритъ... Это животекучи вопросъ. Я говорю мнѣние всего Батума.*

ამ სიტყვებით მდივანმა მავროპულო გოგოგოლის იმ ტიპს შეადარა, რომელსაც თავის თავი ესპანისის მეფე ეგონა, მარა მავროპულომ ვერაფერი გაიგო და კიდევ ესამოვნა: ესპანისის მეფეს შემადარესო.

— ქალაქის თვითმართველობაში მოსამსახურე „დაბალზე უფრო მაღალი პირები“ ძლიერ გაჯავრებული არიან „კენტზე“ და „კვინწარზე“. — საქმე გაგვიკვირებს ამ წყეულებმა, ჩვენ საგმირო საქმეებს ააშკარავენენო. წინადადებას იძლევიან მოისპოს „ეშმაკის მათრახის“ გამოცემა და სამაგიეროთ ყოველდღე გამოიცეს „ნიშადური“.

იამე

ეშმაკის მოკსაურობიდან.

(გაგრძელება)

შეორე დღეს ქრისტეს ამაღლების, ეშმაკი ბათუმ ქალაქის ნათ-სადგურში ენახათ ზღვაზე მოცურავე. როგორც გამოირკვა მას განზრახვა ჰქონდა გაეგო „ბერეგის“ მუშათა მდგომარეობა, აგრამ როცა გააფრთხილეს: „მათი ამბის გავებას სან ფუთ სისხლს გაგიფუჭებსო,“ ისიც დაეხსნა ამ სახიფათო საქმეს. „უთანხმოება და განხრწნილება რეაქციის დვიდი შეილება არიანო“ განაცხადა მან.

23 მაისისათვის ეშმაკმა ფრიად სახიფათო საქმე განზრახა. მას სურდა ქალაქის სამმართველო და უმთავრესათ კასისა დაეთვალიერებია. თან ფეხს და ორ-ფეხს ვინთხების მოსაგერებლათ გადასწევიტა თან ერთი გამოცდილი კატა წაეყვანა, თუმცა საქმე არც უკატობას დაუბრუნებია.

ქალაქის თავის ასავალ დასავალი ბათუმში თითქმის არავინ არ იცოდა, რადგან ზეტერბურცამდე რამდენი ქალაქია და ვინ იცის სად იქნება კარჩინილიო. წარმოიდგინეთ ეს არც ბათუმის საინვენტარო ცენტრალ წიგნში ექრა,

ცენტრალი ინვენტარი, ეს ბათუმის თვითმართველობის მოგონილი მანქანა, რომლის შესახებ მე არ გავაგრძელებ სიტყვას, რადგან ამ საუცხოვო მანქანის შესახებ ხლო მომავალში ბ-ნი ბლაკვაძე წაიკითხავს ფრტელს და სინტერესო მოხსენებას. ეშმაკს ძლიერ მოეწონა, რომ სამომხლო კუთხის მოღვაწეებს ასეთი სახელი რომ მოუგონათ.

რადგანაც ინვენტარის წიგნი ამ დღეს ავთ იყო და კარაშე იმის არავინ იცოდა თვით ქალაქის კასის არსებობაც კი, ეშმაკი იძულებული გახდა „კუდინის“ რამოდენიმე წყითით ინვენტარის წიგნი განეკურნა. ასეც მოხდა.

წარმოიდგინეთ ეშმაკის გაკვირება, როცა ქალაქის კასში რამოდენიმე პირველ დაწყებითი სკოლის მასწავლებელი დახვდა დურბინდებით აღჭურვილნი ეველა ჭუჭრუტანებს გულ მოდგინეთ ათვალეურებდენ, მაგრამ ვინთხების შიშით ხელის ჩუოფა ძლიერ ეშინდათ. როგორც გამოირკვა ისინა გასული თვისათ თუ გასული წლის ჯამაგიერებს ეტებდენ, მაგრამ რასაკვირველია ეტებდენ ამათ.

— ასეთი სიცარიელე არც თომს ზუსს თავში იქნებაო, განაცხადა ეშმაკმა და განშორდა კასის.

თვითმართველობის მსახურები თითქოს გრძობდენ ეშმაკის სიანლოვეს და პირ-საცოდებულნი ენახათ თვისათ იკავებდენ, რამეთუ სსირცხო არა წარსდგენოდა ბაკეთათათა.

არც ეგრეთ წოდებულ „ბოლნიცისათვის“ და არც ბათუმის ცინისათვის ეშმაკს ეურადღება არ მიუქცევია, ვინაიდან ის სხვა განზრახვას იტარებდა გულში. მას უნდოდა გაეგო, თუ რა მიზეზია, რომ ინჟინერი მისიანლოვო ასე უდმერთოთ სტანჯავს ხალხს და შავი ზღვის პირათ უწყელობით არჩობსო. მუსამე წელიწადია თურმე რაც ის ინჟინერა წელის მიღებს ხან ჩაჭურის მიწაში და ხან ამოჭურის ზევით, რისთვისაც მის დამთავრებას დასასრული აღარ დაადგა მთელი უბნები ხანა-მშრალი დარბოდენ სასმელი წელიწადისათვის ერთი ვერსის მანძილზე და ვერც იქ შოულობდენ. ეშმაკმა ინახულა ის ინჟინერი, მაგრამ რა უთხრა ან როგორ მოექცა, ჯერ-ჯერობით ამის გამოძიებას სასტიკათ აკრძადა.

გიმნაზიის დირექტორთან განზრახული აუდენცია არ შესდგა. ეშმაკს უნდოდა მოესენებია მათი მალა-კეთილშობილებისათვის, რომ ერთი სულელი ემაწვილისათვის ასი და ორასი არ უნდა დაისაჯოსო, მაგრამ როგორც გაიგო ეს მთლათ მათი მალა-კეთილშობილების მიზეზით არ მომხდარა და თითონაც თავი განება.


არ შესულა ბ-ნი ეშმაკი რც ადგილობრივ გაზეთის რედაქციაში, რადგან გააფრთხილეს რედაქტორი ცენტრათ თუ ბევრათ მუშტის კაციაო და ვინ იცის იქნებ თქვენც რამე აკიტხნოსო.

ასე და ამგვართ უკვე მიმკვარებულსა და მიძინებულ ქალაქ ბათუმში ეშმაკმა დაჭეო საშიოდ დღე და მეოთხეზე ჩქარი მატარებლით ოზურგეთისკენ მიემტავებებოდა.

მდივანი ეშმაკი,

(ენახოთ რა შეემთხვა)





ნიკო აღმაშენებელი და ვალების პირამიდა.

ნიკო, რამ გახადა ეს ქვეყანა
 ასე კაცის უნახავათ?!.
 ქალაქში თუ დამიგულეს
 ყველგან მე მნიშნავენ თავათ!..

ან ნიჭი კი მომიქარბებს
 ან, სხვა რამ მაქვს მიმზიდველი,
 რომ სამოთხე გამომიდის
 თუ კი გავანძრიე ხელი.

„პაროვოზის“ ძეგლს დამიდგმენ
 თუა ქვეყნათ სამართალი,
 თუმცა სოხუმს საგრძნობელი
 დავატეხე თავზე ვალი.

ბ ე ლ ს.

სიზმრათ ვნახე ამტყდარიყო
 საზარელი ქარიშხალი,
 ტყეებს თავი გაეფუტრათ
 და გაქონდათ მთებს გრიალი:

აქოჩრილ ზღვას აეტეხა
 კივილი და ღრიანცელი,
 ცას და მიწას აერთებდა
 ღრუბელი და ნისლი ბნელი.

ამ ბურუსში უცბათ გაჩნდა
 პაწაწინა ნაპერწკალი,
 ის გაღვივდა, გაფართოვდა,
 აგუზგუზდა დიდი ალი.


მან გაფანტა ის ბურუსი,
 ცას ღრუბელი გადაჰყარა,
 მზე გამოჩნდა და ბუნებამ
 მოილხინა, გაიხარა!

გამეღვიძა და ამ სიზმრის
 ხსოვნა გულში ჩავიქედე,
 და აწმყოთი გულნატკენმა
 თავი ასე ვაიმედე:

რა გინდ მოხდეს მე მაინც მრწამს!
 არ შედრკება ჩემი გული!
 იმ ნაპერწკლის მსგავსი არის
 ჩემი ბედი დაჩაგრული!

რის მოთმენა? რის უოყმანი?
 ბრძოლა უნდა გაბედული!
 „დე შუბლს ოფლის ღვარი რწყავდეს
 და მკერდს სისხლის ნაკადული“!..

ნ. ზომლეთელი.



საკრძიმო გამოცანა

(კურულ კილოზე)

ქუთათური ცხოველია:
 არც იქომა, არც ისომა,
 არც საგებათ დაიგევის.
 არკა ტანზე ჩაიციომ.
 ოთხფეხში მით გაშარჩევე,
 რომ ორ ფეხზე იცის დგომა,
 ჩაბალახით თავს იკონანს
 ზაღთარ-ზაფხულ-შემოდგომა...
 გრძელ წვერას და წვერ ქალარას
 ჯოხის ცხენზე უყვარს ჯღომა,
 ბულვარის და ბალახვანის
 ზედ-მიწვევით იცის ზომა...
 ქარაფშუტა ოხუნჯობით
 ის აროდეს განძლომა,
 ჩვეულებათ განძლომა
 ურცხეს. სცენაზე გამოხტომა,
 მაგრამ რეთიც ისულელღოს
 ვერ მოგვგვაროს გულის წყრომა.
 იმერული ხრიკოსნობით
 იცის შეძრომ გამოძრომა
 და „ნიშადურ“ სურნელოვანს
 ახლოს არც-კი მიედგომა.
 ქარაფშუტა მატრაყვეცის
 უტყუარი არის ზომა
 ვინც პირველი გამოიციანობს
 დაუფასდეს იმას შრომა.

—კი.

კანტი და ლაზლასი მღვდ. სიმონ ჭკლიძის
 ლაბორატორიაში.

ქუთათურ ქურუმ-„პოვეტებს“
 „შინაურ საქმეთ“ მღევებსა
 სისულელე-მიდრეკილობას
 უფალი მიუტევებსა.
 განგება გაასხივონებს
 მრჩობლ ნაკურთხ მათსა თავებსა
 უმეცრებისა ყვავილით
 ათას ფრად შენაზავესა,
 რომ „იქი-ბოქი“ გაიგონ
 ლაზლასისა და კანტისა
 რითაც უმეცარ გოგრაათა
 სიბნელე გაიფანტისა.

ჰმ!



ვერცხნი ბ. ჩ—ვილს

გულით გამაგრდი სულით ამბლდი
 და აიტანე ტყვეობა გმირო,
 რომ მაგალითი შენი მხნეობით
 მოსისხლე მტრებიც კი გააკვირო.
 თუმცა გვხდა წილათ გოლოგოთაზედა
 შენ აიტანო წამების ჯვარი,
 მაგრამ გრწამდეს რომ ჩაგრულთა გულში
 ხარ, და იქნები დაუვიწყარი...
 გრწამდეს წასული მომავალ აარს
 იეორეთ მოსვლა გვიახლოვდება
 და გოლიათი ძალ ღონეს იკრებს
 დასკექს, იგრგვინებს, მკვდრეთით აღსდგება
 დაღეწს ბორკილებს, გაარღვევს ზღუდეს
 ბასტილიასა შეუნგრევს კარებს,
 გმირს მშობლიურათ ჩაგიკრავს გულში
 ღონათ შეგიცვლის შენ სიმწუხარეს

ვ. ჭყონია.

სოფლის ცხოვრებიდან.

I

მიდის გლახუნა თავჩაქინდრული,
ზურგზე ტომარი გადაუვიდა,
თავი წაუყრავს რაღაცა ძონძით;
წულიდან უხანს ეყვის თითაა.

ძლივს იმაღავს ტანის სიტეტკლეს
სულ დაფხრეწილის ახლოზ-ჩონით,
მიდის მუშაკი შუბლ დაღარული
მარჯვენა ხელში დიდ შინდის ჭოსით.

აღარ უდინის სახე ჭადრანს,
წელში მოხრილი გზას გადავლია,
ახლგაზრდობის სიმკვირცხელი ღალი
დღეს ხანში შესულს თავს დაკვდომია.

აღარ შეხარის ის ძველებურათ:
ცას, დედამიწას, ტოლ-ამხანაგებს,
აღარ უტოლავს სული და გული
მრავალგზით ნაშრომს ბევრჯერ ნაძაგებს.

თუმც მზემ ზირველი თავის სხივები
დაუღალავათ ზირს შიდაყრას,
მაუაღესსა, ჩაკონა მარდათ
და გადავიდა ქვეყნის ახრას.

მარა გლახუნას ეს არ უგვრძნია,
არ მიუცია საღამო მზისთვის. .
ის შავ თიქრებში სწრაფად ცურავდა
და მიდიოდა ხუმათ თავისთვის...

აი წინ უდგას თავის ოჯახი:
ხუთი ქალ-ვაჟი მეექვსე ცოლი,
მეუღლე ღირსი, დაუღალავი
ღუქმა-პურისთვის მასთან მებრძოლი.

ხელავს გლახუნა ამ დილით ადრე
ეველა ამათმა რომ გადავიდეს
და სიმინდისთვის დღეს საუადგლათ
უკანასკნელი გროში მას მისცეს...

თან ესმის მას შვილების ხეყნა:
მაღე დაბრუნდეს, არ დახანოს,
ორი დღე ხაკლებ ბაღახ-ბუღახით
მჭადი მოკვაროს და გაახაროს...

ჭერ კიდევ ესმის ცოლის სიტყვები:
დღეს სადილისთვის მოგვასწარიო,
აგერ ორი დღის უჭმელები ვართ
ხომ ხელავს გვადგას დღე ჩვენ მწარიო...

მიდის გლახუნა, თან მიაქვს უბით
ხურებით შეკრული მანეთი ერთი,
ხშირად გასინჯავს, რომ არ დაკარგოს
ეს მიწიერი „ხატარა ღმერთი“.

ორი დღე სხვისას თოხნიდა ქირით
და იქ აიღო ეს ორი გროში,
თავის უანა კი სულ გაუფუჭდა:
ვერ გამოარჩევთ ვეღს და მინდორში...

ასე ჭირს საწუღს სულ უოველ წლობით:
უბაღახდება თავისი უანა,
მჭადის ფულისთვის ის სხვისას თოხნის,
სარჩო ვერადეს ვერ მოიუფანა.

და უოველ წლობით ასე დადოდას
მხარზე ტომარით წყენი გლახუნა...
ვალხანდება, ჩარჩს უვარდება;
მწარე ცხოვრებამ წელში გადაუნა...
გ. მალაქაშვილი.
(შემდეგი იქნება)

წერილები ემბაკისადმი.

თფილისიდან

დიღუბე. ემბაკო ჯან, შენი ქება
რომ არა ვსთქვა არ იქნება,
რომ ქკუაზე მოიყვანა
ვინც სუსხი შენი იგემა.

ეხლო მეც გთხოვ გენაცვალე
მოცუნცულდღე დიდუბეში
და გაფიცებ ტ.რტაროზსა
შეიქვრიტე ყველა „ღვერში.“

შემდეგ თუ ღმერთმა ინება
და დაგიღვა კარგი დარი,
შენი ზურგის ასაწველი
მეზოფოსკეებს გაჰკარი.

უხხარ ასე გიყვებივით
ნუ აქენებენ ცხენებსა,
რომ გამვლელებს მათი შიშით
აკივებს და აცხელებსა.

(რომ გვერდები თითქმის ყველას
შეატყავეს შეაფცქვენესა,
ისტორია დააფასებს
ვინც ამ გმირებს მერაცხვენსა)

შემდეგ, ძამია, შენ იცი
თუ ინახულებ სანდროსა,
ვინძლო ვერ ნახო გაჩვენებ
ადრესით მისსა სადგომსა.

შერემეტევის ქუჩაზე
დაბალი სახლი რომ დგასა,
სავაქრო ბინა იქა აქვს
ხშირათ წინ ღვინო უდგასა.

ბოგუნი.

საქიროა „სევერნი ნომრები“ შემოსვლა და
და იქაურ მოსამახურებების შემართახება; რადგან
კარტის თამაშმა ძალიან გაიტაცა და სხვა ყველა-
ფერი დაივიწყეს.

კობე.

ნაძალადევი. ემბაკო! ჯერე ვერ იცნობ,
სახლის პატრონსა სონასა,
ვინც „ხაზინკას“ უწოდებს,
მიართმევს ვარდის კონასა.

მიუხვდენ მისი ღმერთები,
დღეს ყველა გაფიცულია,
„ხაზინკას“ არ უხმობენ,
ამაზე მოსდის გულია!

გაანჩხლდა, გადაიმასქნდა,
სიცხე აქვს უნელმებელი!

ახლა შენა ხარ „სონჩკას“
 დამხსნელი, გამკურნებელი!
 თან წამოიღე კუდინი,
 (სუსტია), სამი ფლაკონი,
 გადაუჭირე მათრახი,
 მოარბევინე ბალკონი!..
 რომ მობრუნდები, შეგხვდება,
 დათიკო, (მიკიტანია)
 ჩასხმული, ჩასუქებული,
 აქ ვაქრობს კარგა ხანია.
 პოლიციაში, ამ სულელს,
 ამბავი მიუტანია:
 „ჩემ ბიქსო, ჩემი სახლიდან,
 ქვაბები გაუტანია“.
 მიატყვიანა უბრალო,
 პატარა-ბიჭი, ატირა,
 გვეცოდებოდა საწყალი,
 სულ „ვაი-დედა“ აყვირა!
 დათიკოს „რევმატიზმა“ აქვს,
 ეშმაკო, გებრალებოდეს,
 იმდენი ურტყი მათრახი,
 „კმარაო!“ გეხვეწებოდეს!..
 შმაგა.

პროვინციიდან.

სამტრედლის დაბა-რაიონი. მას შემდეგ, რაც
 „ედემის“ ბაღში უსიამოვნება მოუვიდათ აქაურ
 წესიერების დამცველებს ბაღში ყალბი ქანქრის სუ-
 ნი აღარ სდგას.

— ამას წინათ „შანტაჟისტების“ მიერ მოტა-
 ცებული ამხანაგი კოწია ლეკვეიშვილი, როგორც
 იტყობინებინ ცოცხალი უპოვიათ „გუბის“ პლატ-
 ფორმის მახლობლათ „არღანის“ ყუთში ჩამწყვდე-
 ული. გამოძიება სწარმოებს.

— აქაური „სიბინძურის კომისია“ ორი დღის
 მოღვაწეობის შემდეგ სადათას ძილს მიეცა. მგონი
 ურიგო არ იქნება ადგილობრივ ვაქრები რომ შე-
 უღდებოდნენ ამათ გამოღვიძებას.

— ჩვენი სამკითხველო ჯერ-ჯერობით კარგათ
 გრძნობს თავს თუ რომ ზოგიერთმა ვაქრებმა და
 დეპუტატებმა არ შეაწყუბეს.

— აქაურ ჟურნალ-გაზეთების დამტარებლებს
 გადაუწყვეტიათ მოიწვიონ თფილისიდან ცნობილი
 ვინმე კარტის და კამათლის მკოდნე პირი და გა-
 მართონ კვირაში ორჯერ ლექცია. ვისაც სურს
 ლექციის მოსმენა მიმართოს ტაროჯაძის სამიკიტ-
 ნოში. შესვლა უფასოა.

— როგორც სოფ. დიდი ჯიხაიშიდან გვატყუ-
 ბინებენ ადგილობრივ მცხოვრებლებს გადაუწყვე-
 ტიათ ბოიკოტი გამოუცხადონ რაჟდენს და იოსებს.
 მიზეზი ის ყოფლა თურმე რომ ამას წინათ ჩხუბი
 მოუვიდათ და უდანაშაულოთ სცემეს „რაფიელს
 და წესიერების დამცველებს“.

ფრიალეთი.

გორი. გაუწყებთ სასიამოვნო ამბავს. ყველა-
 საგან მივიწყებულს გორში დაარსდა „თავისუფალ
 სიყვარულის ლიგა“. თუ ამდენ ხანს რუსეთის სხვა
 კუთხეებზე ჩამორჩენილი იყო გორი, ეხლა ამ კულ-
 ტურულ დაწესებულებით მაინც შეუძლია ისახე-
 ლოს თავი. რადგან „ლიგას“ ჯერ ჯერობით სა-
 კუთარი სახლი არა აქვს, კრებებს ქალაქის ბაღში
 მართავენ. ქალაქმა დიდის სიამოვნებით დაუთმო.
 ერთი სიტყვით გორმა შესამჩნევათ წინ წაიწია,
 იმატა ღოთობამ, ჩხუბმა და ქორიკანობამ. ასე, რომ
 გორმა მალე მგონია თფილისსაც წინ გაუსწროს.
 ეშმაკოვინი.

ს. აცანა. აქაურ სცენის მოყვარეთ
 დღე დაუდგათ ძლიერ გლაზა,
 რადგან დიმიტრი კვაქაძემ
 გამოლანძღა, გააბახა.
 მათ უწოდა გარყვნილება
 და სხვა ბევრი სიტყვა ცუდი
 და ვფიქრობთ, რომ არც დამიტრის
 აწყენს მათრახისა კული.

სილიბისტრო, მამა მღვდელი
 არ დატოვო უნახავი,
 მასთან ბევრი ამბებია,
 მრევლისაგან საკითხავი.

სამრეკლოის ააგებათ
 ხუთას მანათამდის ფული,
 ღარიბ ხალხის გადახდილი
 სთქვას რაში აქვს დახარჯული?

მაელ ერთ კუთხეს ტყეს რომ ართმევს
 აქ ბრძანდება ის მართალი?
 თუ სიმართლე მასკენ იყოს,
 რათ სძულს ხალხის სამართალი?

ოთხი საქმე სხვაც მიუძღვის
 ეშმაკ თქვენ ნუ მომიკვდებით!
 და შეეხეთ ნაკურთხ ზურგზე
 მოკრძალებით და მორიდებით.

ავათმოყფთანც შეუხვით,
 თუ დაგიხედეს კარი ღია,
 ერთი ჰკითხე, თუ ღმერთი გწამს
 წესდება რათ დავეირღვია.

ჰკითხე მხოლოდ ისე ნელა,
 რომ არ მოუვიდეს გული!
 რომ შენც ისე არ გიყვიროს,
 სხვებთან როა დაჩვეული.

ისკანდერ.

ბაქო. ბალახანის ქუჩაზე, „აბაშიძის“ დუ-
 ქანში, ქართველთა ჯგუფი მუდამ ეამს კარტის თა-
 მას ეწევა სამშობლოს საკეთილდღეოთ.


— იქ თუ კარტს თამაშობენ, სამაგიეროთ
 „კრასნავოდსკი“ ქუჩაზე სასტუმრო „ფრანციაში“
 სქელი ბარძიმა, ვალიკო და ალექსანდრე, მოსვე-
 ნებას არ აძლევენ აქაურ მომუშავე ამხანაგებს, და

სურთ ფეხ-ქვეშ გათელონ ის უფლებები, რომლებიც მათ ღვინის შერჩენიათ. პირველსაც და მეორესაც მისი ჩაი ძალიან მოუხდება.

ბაში-აჩუკი.

ალექსანდროპოლი. სილოვან ხუტუამ მიყო ხელი შემდეგ აგიტაციას: „ამხანაგებო, შავ-რაზმელებო, გამაგრდით, არ შეგეშინოთ მათრახის კულის, მაგი ვერას დგვაკლებს მუშების გაყვლიფას, დღეს საჭიროა შევკრათ ბლოკი და შეუგნებელ მუშებს სული ამოვსწვადოთ, ჯერ კიდევ დრო გვაქვს რადგან თლათ გავრცელებული არ არის მათრახის კულის გემო, თუმცა ჩემამდე მოახწო, მაგრამ მე ავტორს წინა წერილისას შევეყიდი კვერცხით, ქათმებით და მერმე არ მოგვხდებათ მათრახის კული“.

სიკო სამტრედიელი.



ერთობის ხალხი.

(იხ. „უმ. მათ.“ № 35)

(გაგრძელება)

გამოსულა მესხეთე

იგინივე და თედო.

თედო.—(შავი ფეხაკა და შავფარი აცვია, ახალ-გაზრდას, წვერ შიშარსული. მრისხანე სხე აქვს. კარებს ხელს მისურავს და იქვე გაჩერდება. ხან ერთს შეხედავს და ხან მეორეს. ხმას არ იღებს)

ბესო.—(შეშინებული უეფრებს. თავისთავის) ეხლა აღარ ვიცი საით გავიპარო.

თედო.—(გაჭყვრებული შუბღვერს) რაო?

ბესო.—ვაიმე!

სამს.—(თედოს) რა გნებავეთ?

თედ.—(გაჭყვრებული) რა მნებავეს რომელია?! განა არ იცით რა მნებავეს?

ვაქტ.—რატომ მაინცა და მაინც უნდა ვიცოდეთ რა გნებავეთ?

თედო.—(შეუბღვერს) ძალიან კარგათ იცით! ძალიან კარგათ! ამ ერთ კვირაში მეთე ჯერ არის აქ რომ მოვედი.

ბესო.—(მოწიწებით) ბრძანეთ რა გნებავეთ?
თედო. (შივა ახლას ბესოსთან და მრისხანეთ მს. გიდაზე ხელ დაკრავს) რა მნებავეს? განა არ იცით რა მნებავეს? დამცინით?!

ბესო.—(შეშინებული) ღმერთო მიშვედე! ეხლა კი ვეღარ გადავურჩებო!

თედო.—(არტყამს მაგიდაზე ხელს) რაო? რაო?

ბესო.—არაფერი, ისე ჩემთვის ვლაპარაკობ.

თედო.—ჩემთვის ვლაპარაკობ რომელია?! განა მე კაცათ არა მთვლით, რომ პასუხის ღირსიც არ გამაზღვო?

ბესო.—(მოწიწებით) როგორ ააა, ბატონო, როგორ არა. კაცათ როგორ არა გთვლით? მაგას რათ ბრძანებთ?

თედო.—რათ ბრძანებ, რომელია?! მე პოეტის ვარ პოეტი და თქვენ არ გინდათ მიცნოთ.

ვაქტ.—(იგინის) პოეტი?!

თედო.—(შეუბღვერს) დიახ, პოეტი, უნიკიერის პოეტი, ღღეში ათამდე ლექსებს ვწერ.

ნაგ.—(გაჭყვრებით თავისთავის) რა ფიცხი კაცია!

თედო.—(შეუბღვერს ნაგიფორეს) რაო?

ნაგ.—(შეშინებული) ვაიმე! (თედოს) არაფერი, რალაც წიკვის წესიდან გამახსენდა.

სამს.—(წამოდგება და მიმართავს თედოს ენერგიულათ) აქ ყმაწვილო სალაყბო არ არის ჩვენ საქმე გვაქვს, ბრძანეთ თუ რამე გინდათ და წაბრძანდით.

თედო.—(მრისხანეთ) წაბრძანდით რომელია? აქედან ფეხს არ მოვიცილი თუ გადაჭრილი პასუხი არ მოხვევით.

სამს.—რა გნებავეთ ყმაწვილო არ იტყვით?

თედო.—არ იტყვით რომელია? ვიტყვი და მეტსაც ვიზამ.

სამს.—აბა ღვთის გულისათვის ჩქარა გვითხარი რაშია საქმე.

ბესო.—ბრძანეთ.

ვაქ.—აბა ბრძანეთ ყველანი ყურს გიგდებთ.

თედო.—(მრისხანეთ) ყურს მიგდებ რომელია?

ნაგ.—(შეშინებული ზიზჯავას იწერს) ღმერთო შემეშვიე!

თედო.—(შეუბღვერს ნაგიფორეს) რაო?! რაო?!

ნაგ.—(მოკრძალებით) არაფერი, ბატონო, დამამთქნარა.

სამს.—არ იტყვით ყმაწვილო?

თედო.—(მაგიდაზე ხელს არტყამს) ვიტყვი, დიახ ვიტყვი. მითხარით ერთი რა მიზეზია ამდენი ლექსები მომიტანია და ერთსაც არ მიბეჭდავთ? არც მიზეზს მეუბნებით. სხვას თუ ბეჭდავთ, მე რატომ არ მიბეჭდავთ.

სამს.—(სიცილით) ლექსები?! (ბესო და ვაქტ. ჩუმათ იგინიან)

თედო.—(ხან ერთს შეხედავს და ხან მეორეს) რა გაცინებთ? სასაცილო რა არის აქ? არა ეს მოსათქმენია? ამდენი ხანია პასუხსაც ვერ ვეღირსე?

სამს.—(შივა ახლას და გაჭყვრებით) მგონია

გაიგეთ ყმაწვილო, რომ ჩვენ მოცლილი ხალხი არა ვართ, საქმე გვაქს. რა გნებათ თქვენ გაიგოთ?

თედო.—(ყვირის) მოცლილი ხალხი რომელია? განა მე მოცლილი ვარ?! სამუშაოზე მოვცდი და წამოვედი, რომ გავიგო თქვენგან გადაჭრილი პასუხი. მოცლილი ხალხი თქვენ ხართ.

სამს. (გადაჭრით) უკანასკლელათ გეუბნებით სთქვით რას თხოულობთ ჩვენგან?

თედო. (მრისხანეთ) რას თხოულობთ და უნდა გამაგებინოთ რა მიზეზია ჩემს ლექსებს რომ არ ბეჭდებთ?

სამს. (ენერგულად) ეს გინდათ გაიგოთ? აი ჩვენი პასუხი—თქვენი ლექსები ყოვლად უფარგისია.

თედო. (გაბრაზებული უყვირის) რაო? რაო? ჩემი ლექსები უფარგისია? მე პოეტი არა ვარ?! თქვენ არ გინდათ მე პოეტად მიცნოთ?! ჩემი ლექსები არ ვარგა? (მოუბრუნდება ბესოს და მაგიდაზე ხელს დასრტყამს) ჩემი ლექსები არ ვარგა?!

ბესო. (შეშინებული წამოადგება) ჰმ...ჰმ...თქვენი ლექსები?... ჰმ!..

სამს. სთქვი კაცო, რის გეშინია?

თედო. რაო? რაო? რის გეშინია რომელია? ჩემი ლექსები არ ვარგა?!

ბესო. (ყოყმანით) ჰმ... თქვენი ლექსები...ჰმ... ჰმ... ცოტათი კოკლობენ...ჰმ...

თედო. (მაგიდაზე ხელს არტყამს) რაო? რაო? ჩემი ლექსები კოკლობენ?!

გაქტ. კოკლობენ კი არა მეტიც არის, თქვენ პოეტი არა ხართ.

თედო. (გაბრაზებით) რაო? რაო? მე პოეტი არა ვარ? მე პოეტი არა ვარ? (მოუბრუნდება ნიკოფორეს) ჩემი ლექსები არ ვარგა?

ნიკ. (შეშინებული მიბრუნდ-მიბრუნდება სკამზე) დიახ... თქვენ...

თედო. (შეუბღვერს) რაო? რაო?

სამს. (გაჯაფრებით) გთხოვთ ზრდილობიანათ მოიქცეთ. პასუხი უკვე მიიღეთ და სხვა რაღა გინდათ?

თედო. არა მე პოეტი არა ვარ? ჩემი ლექსები არ ვარგა?

სამს. (უყვირის) დაიჯერე ძმაო, რომ არა ხარ პოეტი არა! არა! და გირჩევთ ლექსების წერას თავი დაანებოთ და რამე წაიკითხოთ.

თედო. (მაგიდაზე ხელს არტყამს). მე პოეტი ვარ, პოეტი, თქვენ არ გინდათ მიცნოთ პოეტად, რომ მე პოეტი ვარ, როცა თავი შემთხურდება და გული ძვრას დამიწყებს ისეთ ლექსებს ვწერ, რომ ავაზაკსაც აატირებს. თქვენ გშურთ ჩემი პოეტობა, თქვენ არ გინდათ დამიბეჭდოთ ჩემი ლექსები. მე პოეტი არა ვარ?

სამს. დაიჯერე რომ არა ხარ ძმაო პოეტი, არა, არა!

თედო. მე პოეტი ვარ, პოეტი.

სამს. (მივა ბესოს მაგიდასთან გამოადებს უჯრას, ამოიღებს ქაღალდებს და აძლევს თედოს) რა კი არ გჯერათ ამოარჩიეთ, რომელიც საუკეთესოა ამ თქვენ ლექსში და წაგვიკითხეთ ერთი პოეტურათ, მაშინ

თქვენ თვითონ დარწმუნდებით, რომ ამ ლექსის დაბეჭდა არ შეიძლება და თქვენ პოეტი არა ხართ.

თედო. (გამოარჩევს ქაღალდებს) პოეტი ვარ, პოეტი. აბა ვნახოთ. (გამოარჩევს ქაღალდებში ერთს და კითხულობს ხმა მადლა და სელების შლით ტრადიკულად)

„საბარზო.“ როდესაც სევდა შემომაწვება ვფშინავ ვთარცა ვერული ტახი,

გიქ. (თავს ძლივს იმაგრებს) ტახი! (იციხის)

თედო. (შეუბღვერს ბიქტრას და განსვრძობს) ფიქრების გროვა აღარ მასვენებს თავი მძიმდება ვით დიდი კვახი.

ბესო. (ჩუმად იციხის) მშვენიერებაა მშვენიერება! განაგრძეთ!

სამს. (მივა და თავის აფაგზე დაჟდება) აბა, განაგრძეთ!

თედო. (გაიამამებული, ხმა მადლა) როცა ჩემს ახლოს მყუდროებდა არსით არ ისმის არვის ჭყავილი, დიადი აზრი თავს გამიელვებს ამივარდება ზურგის ქავილი!

ბესო. (შეცვლზე ხელემა მოუჭერია და ძაღვზე იციხას. ჩუმად თავისთვის) „არვის ჭყავილი, ზურგის ქავილი“ ოჰ! რა ნაზი, პოეტური ნაწარმოებია? (იციხის)

თედო. (შეუბღვერს) რაო? რაო?

ბესო. არაფერი. მშვენიერებაა!

სამს. (სიცილით) აი პოეტი!

თედო. (განსვრძობს) როცა ნერვები ამეფუშება აღარ მასვენებს ტვინის ლიტინი, უიმედობით თავსა ვაქანებ ხან უშნოთ ვბლავი და ხან ვიციანი.

როცა შუადღისას ცას ლავვარდოვანს, რგვალათ გაეკვრის ყვითელი მთვარე, გული მიბორგავს, სული მიშფოთავს ვზმუი ვით ძროხა წყალის მთხ-ვარე.

გიქტ. მართლა პოეტი ყოფილა და ჩვენ კი არ დაუფუჯრეთ.

თედო. (მხიარულად) მაჰ, რა გეგონათ. (განსვრძობს):

მაშინ მხოლოდ შენ მახსოვხარ ჩემო სულო ჩემო გულო, მთელ ქვეყანას განაცალვებ ჩემო გამოშტერებულთ.

(გაათავებს კითხვას და გაუფიქრებული ხან ერთს შეხედავს და ხან შეორეს. ევეჯანი გულისხანთ ხარხარებენ, ნიკოფორეც იციხის)

სამს. ბრავო! ბრავო! დიდი პოეტური ნაწარმოებია. ყველაზე მეტად უკანასკნელი სიტყვა მომეწონა. ეს ერთი სიტყვა მთელ ლექსათ ღირს.

გიქტ. (სიცილით) უკანასკნელი სიტყვა მართლაც რომ ნამდვილი პოეტური ნაწარმოებია.

ბესო. (სიცილით) მეც ძალიან მომეწონა.

სამს. (სერიოზულად) ჩემის აზრით ეს ლექსი გაზეთისთვის არ ვარგა, კარგი იქნება ცალკე წიგ-

ნათ გამოსცემდეთ და უკანასკლელ ტაეპს თავის თავს უძღვნიდეთ. სხვისთვის გასამეტებელი არ არის სწორე გითხრათ (იგინის. უეკლანს იგინიანს)

თედო. (გუფხატკუნათ) არა, თქვენ არ გინდათ დამიბეკლოთ, თორემ გაზეთისთვის საუცხოვო იქნება. (გადაშლის ქაღალდებს) მაშ აი ეს მეორე ლექსი დამიბეკლეთ, ამას საზოგადო ხასიათი აქვს. (უნდა დაიწყო კითხვა)

სამს. გირჩევთ ეს ლექსიც ცალკე წიგნათ გამოუშვათ. ჩვენ ეხლა არა გვცალია თორემ დიდის სიამოვნებით მოვისმენდით.

თედო. არა, არ შეიძლება, უსათუოდ უნდა წავიკითხო, უნდა დაგიმტკიცო მე თქვენ რომ პოეტი ვარ.

გიტ. (სამსის) დაანებე კაცო თავი წაიკითხოს და შემდეგ იქნება მოგვწყდეს თავიდან (თედოს) აბა წაიკითხეთ.

თედო. (კითხულობს ხმა მადლა)
„ხუცის ლეძი“ (ნიკიფორე მოიღრუბლება)

„ხუცესი ვიყავ, ხუცუკა
ივანე ხუცუკელო,
ღლით წირვაზე წ-ველი
გამიჩნდა უტუნელო

ნიკიფ. (მოუსვენრობა ეტეობა, მიბრუნდ-მიბრუნდება სკამზე და ჩასხველებს) ბიკოს!

თედო. (შეუბღვერს ნიკიფორეს და განაგრძობს)

ხუცესი ვიყავ ხუცუკა,
თმა გრძელი, წვერებ ცანცარა,
ღომ-ხარჩო, ქათამ-ინდაურს
ვყლაბავდი ძრიელ ჩქარ ჩქარა...

ნიკ. (გულად ისვენებს სკამზე. სშირ-სშირათ ახველებს) ბიკოს! ბიკოს!

თედო. (მიუბრუნდება და შეუბღვერს) ზაჭრუმა!

ნიკ. (წამოიწეოს და ისევ დაჯდება ჯდარ იგის რა ქნას) ვაიმე!

თედო. ღვთის ცეცხლი!

ნიკ. (შაშის და სიბრაზისგან თვალებს აბრალებს, აქეთ-იქით ტრიალებს სკამზე) ბიკოს! ეს რა მესმის? ბიკოს!

თედო. (შეუბღვერს) ნუ მიშლით! (ბესო, სმსონ და ვიქტორ სიცილით იხრებებიან).

თედო. (განაგრძობს):

ხუცესი ვიყავ ხუცუკა
ჰევა მოკლე, წვერებ გძელია...

ნიკ. (სკამიდან წამოდგება, უხერხულ მდგომარეობაში, მეტათ აღდეგებულად) არა ეს მოსათმენია?! ღმერთო დიდებულო რა მესმის?! რას ამბობს ეს შეჩვენებული, როგორ მლანძღავს ეს ღვთის პირიდან გადავარდნილი. ღმერთო! ღმერთო! რა მესმის!

თედო. (გაბრაზებული უეფორის) ნუ მიშლი ხუცესო! (განაგრძობს)

ესე გაგძები საკურთხით
ველარ ავიღე წელია.

(გარდა ნიკიფორეს უეკლანს ხარხარებენ).

თედო. (განაგრძობს)

ვაი ხუცებს, ვუი ხუცებს,
რა გააძლებს იმათ მუცლებს.

(სამს. ბესო და ვიქტ. სიცილით იხრებებიან)

ნიკ. (მეტის სიბრაზისგან მიიწეოს თედოსკენ და უეფორის) შეჩვენებული! წყეულო! სატანავ! როგორ ბელივ შენ ასე უდიერათ ღვთისგან ნაკურთხ კაცის ლანძღვას! იყავ წყეული უკუნიით უკუნისამდე. არა ეს მოსათმენია?!

თედო. (გაბრაზებული მიიწეოს ნიკიფორესკენ) ხუცესო! გაჩუმდი ხუცესო, თორემ თუ ჩავაგლე მაგ წვერებში ხელი გაგპუტავ საკალანდო ქათამივით.

სამს. (წამოდგება. თედოს) გთხოვთ ზრდილობიანათ მოიქცეთ. აქ ცირკი არ არის არც სამიკიტნო. გთხოვთ ეხლა მიბრძანდეთ. კმარა!

თედო. (გაჯავრებული) მაშ არ გინდათ დამიბეკლოთ ეს ჩემი ლექსები? არ გინდათ მიცნოთ პოეტათ? მაშ კარგი, იცოდეთ რომ მე კალამს არ დავსდებ სანამ ცოცხალი ვარ. გამოვსცემ ცალკე წიგნათ—თქვენ კი ხუცებს და ბიუროკრატებს უბეკლეთ წერილები და მავათთან დაიქირეთ საქმე. მერე ნახავთ ვინ წაიკითხავს თქვენ გაზეთს (მადის გაჯავრებული და კარებს გაჯავსხვებს).

გიტ. (კარებში მიაქსებს) სარეცენზიოთ წიგნი გამოგვიგზავნე.

თედო. (გარდა) ღვთის ცეცხლს გამოგზავნი.

ბესო. მადლობა ღმერთს! (იგინის)

გიტ. (სიცილით) პოეტი ქვით უკეთესი და სხვა თქვენ იცით.

სამს. (სიცილით) ეხლა ისე გაჯავრებული წავიდა, რომ მგონია აწი ფეხს აღარ შემოსდგამს ჩვენს რედაქციაში.

ნიკ. (წყენით) მიკვირს ბატონებო, რაგორ აძლევთ ნებას ასეთ სულელებს აქ შემოსვლისას?! ღმერთო, როგორ გაგვლანძღა ეს ღვთისგან ნაკურთხი კაცები. რაები სთქვა?! საცემრათაც კი მოიწია ჩემზე? როგორ გავუძლო ამ სირცხვილს?!

სამს. არაფერია, მამაო, მაგისთანა კაცისაგან არაფერი არ უნდა გეწყინოს! (ბესოს და ვიქტორს) მართლა ძალიან დაგვიგვიანდა წერილი. რაც იქნება იქნება გავუშვათ ასე დანარჩენს ნუ ვასწორებთ.

ბესო. მეტი რა გზაა (წამოდგება) მე მივდივარ სტამბისკენ და წავუღებ (მივა გამოართმევს წერილს და გადაის).

სამს. (ნიკიფორეს) აბა ეხლა ბრძანეთ, მამაო, რა გნებავთ. ბარემ ღროით სთქვით, თორემ კიდევ შემოეხეტება ვინმე.

ირეთელი.

(შემდეგი იქნება)



მედიატორეთა გადაწყვეტილება.

ვერ-ვერობით მხოლოდ ჩვენი „მათრახის“ მიერ განაწესების ერთად საქმე გაიწიხა და ჩვენმა კორესპონდენტმა დაამტკიცა თავისი ნათქვამი. სსსიამოვნება. შემდეგში ვინახათ სსსეებიც. ვგეგმავთ მედიატორეთა გადაწყვეტილებას:

„ეზმეაქის მათრახი“-ს № 30 მოთავსებულ წერილის გამო, მუშა სილოვან ძნელად გამოიწვია სამედიატორო სამართალში „ნახალოველი“ რომელიც ბრალსა დებდა მუშაძე-ძეს ვითომ მხარს უჭერდა სახლის პატრონს გლახა მიქაძეს მდგმურების ლანძღვა-გინებაში. სამ. სამართ. გამოძიებით გამოირკვა, რომ მუშა სილოვანი როგორც მოკეთე სახლის პატრონისა, ეროვდა ზოგიერთ საქმეებში სახლას პატრონისა და მდგმურებს შორის; კისრულობდა გამგის როლს, რაც მას არ ჰქონდა დეკლარებული და რაც უმეყოფილებას იწვევდა მდგმურებში. ამ ს გამო სამედიატორო სასამართლო აღიარებს მ. ძ-ძეს დამნაშავეთ, და ურჩევს მ. ს. ძ-ძეს ნულარ იკისრებს სახლის პატრონის აპეკუნობას.

თავმჯდომარე: ახვლედიანი.

მედიატორები: ლ. კ-ძე და ისარი.

პ ა ს უ ხ ი ბ ი.

სწორეთ ახირებულია ბ-ნი ბეგლარის შკითხვა ჩეზე „სად და როდის ვმუშტობდიო“? მე მაგონდება ბ-ნი ბეგლარის ერთი იმასქნა პოლიციასთან ლავერენტი ცურკავას (რნ-ცილებით) რომელსაც საცვლების მოპარვა დააბრალა გაუჯანჯანა სახლში სტრაჟნიკები და როცა ც-ვას ვერა აღმოუჩინეს-რა (ეს ბეგლარმაც კარგათ იცოდა ც-ვა ქურდი რომ არაა) და როცა ბეგლარის ასეთი მოქმედება დაგმეს მისმა მეგობრებმა და კითხეს რატომ მოიქეცი ასეო, მან უპასუხა: „რა ჩემი ბრალია, სტრაჟნიკები მისი ფეხებით წავიდნო“. სწორეთ ისე მოდის ესხა ბ-ნი ბეგლარს, როცა კითხულობს, სად და როდისო, მან მშვენიერათ იცის სად და როდის იქნევდა მუშტებს, მან კარგათ იცის, სად და ვისან იჩენდა ერთგულებას, მაგრამ მაინც კითხულობს და გასამტყუნიც არაა, ბეგლარმა ესეთი ჩვეულება მას ეამსა შინა შეისისხლხორცა, როცა ის კიდევ მიკტანი იყო. ესხა ბ-ნი ბეგლარს მოვავონებ სად და როდის იყო. იყო იქ, აი სკოლის დაბლა სართულში, აი მაწინ, როცა თქვენ დაეჯახეთ მაწინაღმდეგეს, როცა სიტყვიერი პასუხი ვერ გაეცით და სხვა საშუალებას მიმართეთ, იქ, საცა პოლიციელებს მოკარით თვალი მართეთ ღრიალი: „თქვენ ილიას მკვლელებო, მაწანწალებო, წაბილწეთ ქართული საღამო თქვენი დასწრებით კიდევ ბედავთ აქ ლაპარაკსო“ და სხვა (ეს უყვე აღვნიშნეთ ბ-ნი მედგარის პასუხში). თქვენ ვალიაზე ერთ ვინმესაც მოახსენეთ... და სხვა და სხვა. აი ჩემი პასუხი.

თქვენი ერთგული ვოლდემარ.

ბ-ნო „ეზმეაქუნო“! რადგან თქვენ ნ. გ. ჩივაგაძე დაახსნელეთ მეც სიამოვნებით ვეკვებები თქვენს არჩევანს და, ჩემის მხრით, ვსახელებ ლონგინოზ ანტონისძე ჩივაგაძეს. მეზობლები არიან, მისგლა-მოსვლაში დრო არ დაეკარგებათ და მთ უბრალო შრომა აცილებათ. რასაც მედიატორები დაადგენენ, განაჩენი გამოკვეყნებული იქნება, ამაზე ეჭვიც არ უნდა გქონდეთ. აი, ეს ინება თქვენგან აწუნებულმა, ეზმეაქუნო, ნიკიფორე ხუცესმა.

მ. ლ. ნიკიფორე ბარაბაძე.

საქმედურის წერილები.

ბ. რედაქტორო! „ეზმ. მათ.“ 23 №-ში მოთავსებული იყო წერილი ს. ქალიდან, „უკუშმართისაგან“, რომელიც ჩემს პაროვნებას ეხება. ვიწვევ ავტორს სამედიატორო სამართალში. ვადას უღებთ ორ კვირას, აირჩიოს მედიატორები. ჩემის მხრით ვსახელებ დავით ერქომაიშვილს და ივანე გიორგისძე დუმბაძე.

კოწია შათაქიძე.

სამედიატორო სამართალში ვიწვევ ბ ნ „აქ-ვარს“, რომელმაც უზომო ჩირქი მოგვეცხო ეზმეაქის მამთახის 34 №-ში ჩვენ ლევენტი და გრიგოლ მიროტაძეებს და გიორგი კერესელიძეს (კოლას ჩვენ არ ვიცნოთ და არც ვთხოვთ ვისთვის მის მაგიერ პასუხს). ჩვენის მხრით მედიატორებათ ვსახელებთ იოსებ გიორგობიანს და იოსებ გონდანაშვილს. ვადას ვაძლევთ ხუთ დღეს.

ლ. და გ. მიროტაძეები და გ. კერესელიძე.

„ეზმ. მართ“ 34 №-ში იყო მოთავსებული ვილაც ვ. კ-ძეს შენიშვნა, რომელიც ფრიად შეურაცხყოფის მაყენებს. ვიწვევ ვ. კ-ძეს სამედიატორო სამართალში და ვთხოვთ ვადას ხელოს თავის მხვივ ორი მოსამართლე ამ გზათის დასტამბვის დღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ჩემი მხრითაც რასაკვირველია დაუყოვნებლივ იქნებან დასახელებულნი. ნ. კაკაურიძე.

ბ. რედაქტორო! თქვენი ჟურნალის ერთ-ერთ ნომერში მოთავსებული იყო კორესპონდენცია ჯიხაიშიდან სადაც ბ. „ჩორთია“ თავს გვახვევს ვითომ ჩვენ რაღაც დებატები გავგვეპართოს და ერთს ჩვენგანს აკორდი დაეცოს, მეორეს ლათობა და მესამეს არღანი, რადგან საპასო ჩვენში არაფერი მომხდარა ვიწვევთ სამედიატორო სამართალში. მედიატორებათ ჩვენის მხრით ვნიშნავთ ალ. ვაშაქიძეს ილიკო კოპალეიშვილს და ვასილ ანობაძეს ვადას ვაძლევთ 20 დღეს. იოსება და რაუდენა.

წერილები ჩამდამცინის მიმართ.

(პასუხათ მღვდ. რაუდენ სანებლიძეს)

ღიღი ხანია მემსოდა მუქარა ოფშკითელ მღვდლის სახელობისაგან იმ ცნობებისთვის რომელიც მოვითავსე „ეზმ. მათარ“ № 22 და 27-ში, რითაც ალბათ ჩვენი გაჩუქება უნდოდა, რომ მისი მოქმედებანი საიდუმლოთ დარჩენილიყო. მარა რადგან ჩვენი ვალია ყველა ხალხის მტერთ კრიკაში უდგეთ და ყოველ ნაბიჯზე ვაშკარავით მათი საქმეის საგმირონი, უკან არ დაგვიხვივა, მისი მუქარა არათ ჩავადგეთ და ვთქვით მასზე ის, რაც სათქმელი იყო. დიდი ხნის ბაქიბუქის შემდეგ „ეზმ. მათრახს“ აგვრიდ აუარა და ქუთათურ მღვდლების გაზ. „შინაურ საქმეებში“ მოითხოვს ჩემგან ნიღაბის ჩამოხდას და სამართალში გაყოლას. მუქარა-ქვეშქვეშობას ეს კულტურული საშუალება ჯობია, მარა რადგან მ. რაუდენ ნიღაბის ჩამოხდა თქვენისთანებთან შეუძლებელია და სამართალშიც გაყოლა ჯერ-ჯერობით საპატიო მიზეზების გამო ჩემგან მოუხერხებელია, ამიტომ ქვემო მაყვანილ ფაქტებს თუ გააბათილებთ, უკან წავიღებ ჩემ სიტყვებს. აი ეს ფაქტები. 1) 1906 წელს მღვთის მშობლის მრევლს დაელორქოთ და ჯვარ-ხატებზე შეფიცეთ: ოლონდ ს. ქორეისუბნიდან გადმომიყვანეთ და სიკვდილამდი არ მოვშორდებით და დრამასაც არ ავიღებო. მრევლმა აგირჩია და გადმოდო, (წინანდელი მღვ. მემმარიაშვილი „სამონასტროს“ მღვდლის შემდეგ მრევლს მოცილდა) მარა ერთი წლის შემდეგ იქვე დაცილილ ალაგზე გადადი, რითაც მრევლი მოატყუე და ფიციც გატეხე. 2) ს. ოფშკითეში შარშან დრამა „სტრაჟნიკების“ საშუალებით მოიკრიბა და რადგან ორ მრევლში თქვენს მტრ არაჩენი იყო მღვდელი აბა ვინ მ-ილო იმოღვრა ფული თუ არა თქვენ? რომელი წლის იყო ეს არაა ჩვენთვის საინტერესო, რადგან მრევლს დრამის შეწვევას შუპირდით გაძმოყვანისთვის, მაშასადამე დანაპარები არ შეასრულეთ და ხალხი მოატყუეთ. 3) გადაცვალებულ მღვდ. სამონ ნიკარაძეს

სიკვდილის წინ გამოართვით კვიტანცა თითო მანათის მი-
 ლების თაზაზე და როცა მის ალაგზე გადადიოდა ხალხს აცნო-
 ბეთ: მე 1905—1906 წ. დრამაში სამსონი თითო მანეთზე
 შევიჯვარიე, სხვა გაპატივით და იმედია გაღიხითო. ახლა-კი
 იქითა კვირებში თითოზე 1 რან. 50 კ. მოაბოკიეთ „სტრაჟ-
 ნიკებს შუალამზე და თავს იმით მართლულობთ, რომ 50 კ.
 პრიჩენიკისაა, როცა დრამა ჯამაგირს მღვდელი პრიჩენი-
 კი ერთათ დებულობს. რათ დაგჭირდით ეს ოინბაზობა? 4)
 სტეფანე სანებლიძის შემდეგ სასოულო ბანკის მართველობა
 ძალა-უნებურათ თქვენ ჩაგივარდათ ხელში და რა ხდება შიგ
 წერილების კაბეჭვის შემდეგაც საიმუმლოებითა მოცული
 მისი ანგ რიში არც ერთ პერიოდულ გაზეთში არ დაბეჭდი-
 ლა. 6 აპრილის კრებაზე წლიური ანგარიში მზათ იყო და
 რაღა ეშმაკის რევიზია საჭიროა ბრძანებთ. რასაკვირველია
 რევიზია და საქვეყნოთ თქვენი ბანკში მოქმედების გაგება
 ყველასაგან თქვენთვის ხელსაყრელი არაა და მისთვის ჯობით
 ატარებთ ანგარიშს და აცნობებთ თქვენს დაქაშებს. ამას
 არ ქვია ანგარიშის გამოქვეყნება. და 5) ამ წერილებს გა-


მოქვეყნების შემდეგ მრევლს ეხვეწებოდით „პრაგოვარი“
 შემიდგინეთ და გააგზავნეთ „ეშმაკის მათრახის“ რედაქციაში,
 რომ კორესპონდენტი ცალს მწამებსო, მარა ვერ მოახერხეთ.
 დაამტკიცეთ წინააღმდეგი.

შენი სული-პუჩია.

ბ. რედაქტორო! თქვენი ჟურნალის № 17-ში, არის
 შენიშვნა ამ სათაურით: „არქია ბიჭო ესია, ჟღერტები შემო-
 გვესია“. გთხოვთ გამოაცხადოთ რომ მე „ქუთათური“ არ ვარ
 და არც ამ საქმის შესახებ რაიმე ცნობა მომიწვლია ჟურნა-
 ლისთვის. ამის შესახებ ღია წერილი გამოვგზავნი, ის ალბათ
 დაიკარგა, და იმ პირებს რომლებსაც წერილი ეხებოდა ჰგო-
 ნიათ რომ ჩემი განცხადება იმიტომ არ დაიბეჭდა რომ ვი-
 თომ წერილის ავტორი მე ვიყუ. *)

სამსონ პაიჭაძე

*) რედაქცია ამოწმებს, რომ „ქუთათური“ სამსონ პაი-
 ჭაძე არ არის და მისი ღია ბარათიც არ მიუღია რედაქციას.



მხიარული შევდიოდი,
 ხელთა ნაღდი მეჭყრა თანხა
 ქანქარ-ქანქარ ფრთა-შესხმული,
 გულს იმედი დამესახა,
 გამომცემელ რედაქტორათ
 დავყავ სამი მძიმე წელი,
 ზუბალოვის წყალობაზე
 დავიბანე წმინდათ ხელი*)
 მოწყენილი გამოვედი
 მეცრემლეზა ორივე თვალი
 თავი თავათ შევირცხვიენე,
 საგრძნობელიც მომაქვს ვალი.

კრ.

*)
 (წერტილები შენიშვნაა
 ეშმაკისა ჩანახელი!)

მოითხოვეთ ყველგან

გ. ლალიძის და ამხანაგობის სა-
 კეთესო ქარხნის წევალი!
 გემო და არომატი მშვენიერი აქვს.
 ქარხანასთან დეკორატიული მცენარეებით ლა-
 მახათ მორთული აივანია, სადაც შეიძლება ყინუ-
 ლივით ცივი წყლის სმა.
 ქარხანა იმყოფება გოდაფინის პრესპექტზე, მან-
 თაშევის სსხდში. ტელეფონი 411. (13—4)

რედაქტორ გამომცემელი **თ. ე. ბოლქვაძე**